სიტყვა, თქმული სააზნაურო სკოლის

საზოგადოების წლიურ კრებაზედ, 30 აპრილს,

1893 წელსა

(გამოქვეყნდა გაზ. ივერიაში 1893წ. N 177; 178; 179)

რამდენიმე წამის წინად აქ, ამ კრებაში, ერთმა ორატორმა წარმოსთქვა ის აზრი, რომ სააზნაურო სკოლა დაარსებულია ღარიბთათვის, მდიდრები სხვა სკოლებშიაც ადვილად გამოზრდიან თავის შვილებსო. თავისი აზრი დააფუძნა წესდებულების სათაურზე: ,,Общество дворян Тифлисской губернии для содействия нуждаюшимся в обучении''. ამ სათაურის გაგება ისე, როგორც ბრძანებს ორატორი, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მე მქონდა პატივი მონაწილეობა მიმეღო წესდებულების შედგენაში და უნდა მოგახსენოთ, რომ საზოგადოების დამფუძნებელნი და წესდებულების შემდგენელნი გამსჭვალულნი იყვნენ წადილით-დაეარსებინათ პედაგოგიურად განწყობილი სასწავლებელი, სადაც, საზოგადო განათლების გარდა, ჯეროვანი ადგილი უნდა ჰქონოდა ყოველს იმას, რაცა ზრდის მოწაფეებში ქართულს სულსა და გულს და ამკობს მათ ყოველი ეროვნული ღირსებითა, თავისებურობითა. ამისთანა სასწავლებლის დაარსება დიაღ რომ უპირველესს საჭიროებას შეადგენდა, რადგანაც ქართული სული და გული ყველა სხვა სასწავლებლებში არამც თუ მივიწყებულია, არამედ განდევნილია.

ახლა ვიკითხოთ: ნუ თუ ქართული ეროვნული ღირსებანი, წრფელი მამულიშვილობა მარტო ღარიბთათვის არის საჭირო და არა ყველა ქართველისათვის? განა ერთს მდიდარს გულწრფელ მამულიშვილს ქვეყნისათვის მეტის სიკეთის მოტანა არ შეუძლია, ვიდრე რამდენსამე ღარიბს? ჩვენს სკოლაში რომ მარტო ღარიბები მოვაქციოთ და მდიდრები გარეშე სკოლებს ვარგუნოთ, რა სურათს მივიღებთ? მდიდარი ქართველები თქვენაო და ღატაკები ჩვენაო.

უსაფუძვლოა აგრეთვე ის აზრი, წარმოთქმული მეორე ორატორის მიერ, ვითომ საქართველოში ყველანი ღარიბები იყვნენ. ღმერთმა ნუ მოგვასწროს ამასა. მართალია ვალი თითქმის ყველასა მართებს; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თვითონ თანამედროვე კრეზი-როტშილდი უვალო როდია, იგიც ხანდახან სხვისგან გაიმართვას ხოლმე ხელსა. ივანე მუხრანბატონს დიდი ვალი მართებს, მაგრამ მას ყველანი მდიდრად სთვლიან, რადგან მისი დიდი ქონება ერთი ათად და ოცად სჭარბობს ვალსა. არა, ბატონებო, ჩვენში, ღვთის მადლით, ქონებიანნი, შემძლებელნი, მდიდარნი ჯერ კიდევ მოიპოებიან.

მაშ თუ ასეა, ვისთვის უნდა არსებობდეს ჩვენი სკოლა: ღარიბთათვის, თუ მდიდართათვის? ორთავესათვისა, მდიდარმაც და ღარიბმაც უნდა საზოგადო განათლებასთან ერთად აქ შეიხორცონ ქართული მამულიშვილობა, აივსნენ ქართულ თავისებურობით და გახდნენ ნამდვილნი, სრულნი ადამიანები, გამოსადეგნი თავის სამშობლოსათვის და სასარგებლონი სახელმწიფოსათვის, რომელთანაც განგებამ შეაერთა ჩვენი ბედი და უბედობა. მხოლოდ საქმე ის გახლავთ, რა გვარად უნდა მოეწყოს და მოიმართოს სააზნაურო სკოლა, რაღა იგი მიეწიოს ამ მაღალს დანიშნულებასა?

მოსამზადებელის კლასების შესახებ ყველანი ერთნაირის აზრისანი არიან. ყველას ოთხის წლის კურსი მიაჩნია საჭიროდ, და ამ კლასების დანიშნულებად ჰრაცხს-ამზადოს ქართველი, ყმამწვილები შესასვლელად ყოველ გვარის სასწავლებლის პირველს კლასში. აზრის სხვა და სხვაობა იწყება იქიდან, თუ რა სასწავლებელი უნდა მოვაბათ ზედ ამ მოსამზადებელს სკოლასა.

ერთნი იმ აზრისანი არიან, რომ მოსამზადებელ კლასებისგან სააზნაურო სკოლის მოწაფენი, რომელნიც კი მართებლობის სასწავლებლებში ვერ შევლენ, უნდა შეუდგნენ პირდაპირ სამეურნეო სწავლის შემესანო. უნდა მოგახსენოთ, რომ სამეურნეო სასწავლებელი, ზედვე მიბმული მოსამზადებელს კლასებზედ, წარმოადგენს დაბალს სპეციალურს სასწავლებელსა. ამ გვარი სასწავლებელი აძლევს მხოლოდ ვიწროსა და მცირეს სპეციალურს ცოდნასა და ზრდის მხოლოდ სამეურნეო ჯარის კაცებსა, სამეურნეო სალდათებსა, და იგი მეტ ნაკლებად უძლურია ბლომი ცვლილება მოახდინოს მეურნეობაში. ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დაბალ სამეურნეო სასწავლებლის გახსნა ისე ძნელი არ არის, რომ მას შეეჭიდოს მთელი თავად-აზნაურობა. ამისთანა სკოლების გახსნას ცალკე შეძლებული თავადნი და აზნაურნიც მოახერხებენ, და კიდეც ახერხებენ. გახსნა დაბალი სამეურნეო სასწავლებელი ბატონმა წინამძღვარიშვილმა, გახსნეს ქუთაისში, ხსნიან გურიაში, გაიხსნება სხვა ადგილებშიც. ეს იმედი დამყარებულია იმაზედ, რომ დაბალი სამეურნეო სასწავლებელი სასარგებლოა. ყველა მემამულესთვის კერძოდ, რადგანაც უმზადებს განვითარებულს მუშებს მის მამულსა, რომლის შემოსავალი ამის გამო მატულობს და ფასიც მისი მაღლა იწევს. თუ ეს დღეს ბევრს არ ესმის, ხვალ შეიგნებენ და შემძლებელი მემამულენი თავის მამულში დაარსებენ დაბალს სამეურნეო სასწავლებელსა. ამითი იგინი თავის თავსაც არგებენ, ქვეყანასაც დაეხმარებიან და სახელსაც გაიკეთებენ, იმ კეთილს სახელსა, რომელსაც არც ერთი ადამიანი გულგრილად არ უყურებს. დაბალი სამეურნეო სწავლა სხვა მხრივაც მოეფინება ჩვენს ქვეყანასა. მოგეხსენებათ, რომ დაბალს სასწავლებელს როგორც საეროსა, ისე სასულიეროსა, ახლა უმაღლესი მთავრობა აძლევს სამეურნეო ხასიათსა და ცდილობს საზოგადო დაბალ განათლებასთან შეაკავშიროს პრაქტიკულად დაბალი სამეურნეო სწავლაცა. ერთის სიტყვით, სხვა-და-სხვა გზით უმზადდება ჩვენს ქვეყანას სამეურნეო ჯარის კაცები.

გარნა ყველას მოგეხსენებათ, რომ ბრძოლაში თვით კარგი სალდათები უძლურნი არიან, თუ მათ არა ჰყავთ განვითარებული და გაწვრთნილნი ოფიცრები, გენერლები, წინამძღოლნი. როგორ უნდა მოვუმზადოთ ჩვენს ქვეყანას, თავად-აზნაურობას და გლეხობას, სამეურნეო ხელმძღვანელი, მესვეურნი, სანატრელის გზის მაჩვენებელნი? საზოგადო საფუძვლიანი განათლებით, რომელზედაც უნდა იქმნას აშენებული საფუძვლიანივე სპეციალური, სამეურნეო განათლება. აი გზა, რომელსაც ჩვენ უნდა დავადგეთ, თუ გვსურს, რომ დიდმა ხარჯმა უდიდესი სიკეთეც შეგვმატოს. ახლა ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სპეციალური სწავლა უძლურია მეტ-ნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველს გვარს ნიჭსა და ჰყოფს მას სრულ ადამიანად. სპეციალისტი, მოკლებული საზოგადო განვითარებას, მოგაგონებს მაშინასა, რომელიც ერთს რამეს აკეთებს მექანიკურად და სხვა რისამე რიგიანად გაკეთება მისთვის შეუძლებელია. ამისთანა ვიწრო სპეციალისტი ყოველს განსხვავებულს გარემოებაში იფანტება, ვერაფერს ახერხებს თავის თავად და გაკეთების მაგივრად საქმეს ადვილად აფუჭებს. ჩვენ სამეურნეო მაშინები კი არ გვინდა, ჩვენ

გვესაჭიროება სრულნი ქართველნი, განათლებულნი მამულიშვილნი, შეიარაღებულნი ნამდვილ სამეურნეო სწავლითა. ხოლო საქმე ის გახლავთ: რა გვარი საზოგადო განათლება უნდა წავუმძღვაროთ სამეურნეო სწავლასა? მოგეხსენებათ, რომ საზოგადო სწავლა ორ-გვარია: კლასიკური და რეალური. რომელს მათგანს უნდა მივცეთ უპირატესობა?

ბევრნი, და მათ შორის თვითონ გამგე კომიტეტი სააზნაურო სკოლისა, ამჯობინებენ კლასიკურ სისტემასა და მოსაზრების ძალით, რომ გიმნაზიები ბევრია და ჩვენი სასწავლებლისგან უფრო მეტს მოწაფეს შეეძლება სახელმწიფო სასწავლებლებში შევიდეს და უნივერსიტეტემდე მიაღწიოსო. მათი აზრით, ოთხი პროგიმნაზიული კლასი უნდა ხელ-უხლებელი დარჩეს; ვინც აქედგან გიმნაზიაში შევა, ხომ კარგი, და ვინც ვერ ეღირსება ამ ბედნიერებას, იმათთვის უნდა გავხსნათ ცალკე სამეურნეო სასწავლებელიო. ეს აზრი არა მარტო უსაფუძვლოა და შეუსაბამო, არამედ ერთობ მავნებელიცაა. ვიკითხოთ: ეხლანდელი სააზნაურო სკოლის პროგიმნაზიულ კლასებიდგან რამდენი გადადის მართებლობის გიმნაზიებში? მცირეოდენი ნაწილი, უმეტესობა კი სხვა გზას ადგება, ან რჩება იმ სწავლის ამარა, რომელიც მიიღო სააზნაურო სკოლაში. შემდეგშიაც ესე იქმნება, რასაკვირველია - ათიდგან სამიოდე ეღირსება კლასიკურს გიმნაზიას, შვიდი-კი ჩვენს სამზრუნველოდ დარჩება, და აი ესენი უნდა სამეურნეო სასწავლებელში გამოვზარდოთო. მერმე როგორი მეურნეები გამოვლენ? სწორედ იმისთანანი, როგორიც მომზადება ექმნებათ. ხოლო რას ასწავლის კლასიკური პროგიმნაზია, ჩვენ ეს ყველამ კარგად ვიცით. ნაგლეჯები ბერძნული და ლათინური გრამატიკების, ძველი ენების კანკლედობანი და უღვლილებანი-აი მთავარი ავლა-დიდება პროგიმნაზიის მოწაფეების გონებისა. სიტყვებით, ფრაზებით, გრამატიკების ფორმებით არის, უმეტეს ნაწილად, გამოტენილი მათი თავი. ამ სწავლას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იგი დამთავრდება და ძველის დროის ავტორებიც კითხვას შეაძლებინებს მოწაფესა. შუაზედ გადაწყვეტლი-კი ისეთივე უძლურია, როგორიც ყოველი სულდგმული, შუა წელზედ გადაჭრილი. ყოველ შემთხვევაში, უარესად მომზადება სამეურნეო სწავლისათვის მოუფიქრებელი არის. სულ უსწავლელი უფრო ადვილად შეითვისებს ამ სწავლას, ვიდრე ის, ვისაც თავი გამოტენილი აქვს ძველი ენების გრამატიკების ნაფლეთებითა... რა არის სამეურნეო სწავლა? ძალა, ხელობა, რომელიც აძლევს ადამიანს ღონისძიებას - ბუნებას გამორჩეს, რაც შეიძლება, მომეტებული. ხოლო ბუნებას ის იმსახურებს კარგად და ის იყენებს, ვინც ზედმიწევნით იცის მისი კანონები, თვისებანი, მისი ავი და კარგი. რა ძლევს ადამიანს ამ ცოდნასა? ბუნების მეტყველება, როგორც ყველამ ვიცით. მაშასადამე,თუ სამეურნეო სასწავლებლისთვის გვინდა ვამზადოთ ქართველი მოზარდი თაობა, საჭიროა ეს ბუნების მეტყველება კარგად შევასწავლოთ. ჩვენ კი ლათინურის და ბერძნულის გრამატიკების ზეპირებას ვთვლით საუკეთესო გზად სამეურნეო მომზადებისათვის. მეტი უკუღმართობა და გზა-კვალის დაქსაქსა კიდევ იქნება?... კლასიკური პროგიმნაზია ყველგან ამზადებდა და ამზადებს მხოლოდ კლასიკური გიმნაზიისთვის. არსად და არას დროს არ გაგონილა და არ ნახულა, რომ ამ გვარს პროგიმნაზიას უმეტესი წილი მოწაფეებისა ემზადებინოს სამეურნეო სასწავლებლისათვის. და ჩვენ კი უნდა განვახორციელოთ; მაგრამ რა შედეგს მივიღებთ, რა მომქმედ პირებს გამოგვიზრდის ეს სასწავლებელი? უცნაურებს, არსად ნახულს მახინჯებს; ქვემო ნაწილი თავისა გაჭიკნილი ექმნებათ გრამატიკების ნაფლეთებითა, ზემო ნაწილი სამეურნეო რამეებს ეკავებათ. კარგი საღი განათლებული თავები გვეყოლება, განა? ეს მახინჯები იქმნებიან მოკლებულნი კლასიკურის სწავლის ღირსებსაც, რეალირისაცა და სამეურნეოსაცა. ამისთანა

გამოუსადეგარ არსებათათათვის უნდა ხარჯოს თავადაზნაურობამ ამდენი ფული? ასე საქმის დაყენება მოკლე ხნის განმავლობაში ცხად ჰყოფს სრულს გამოუსადეგრობას ჩვენის სამეურნეო სკოლისა და სამუდამოდ პირქვე დაამხობს მას არამც თუ ფაქტიურად, პრინციპულადაც.

,,პროგიმნაზიას ჩვენ მხოლოდ დროებით დავჯერდებითო", ამბობს კამიტეტი - რამ-წამ ნივთიერს ღონისძიებას ვიგდებ ხელში, მაშინვე გიმნაზიის კლასებსაც გავხსნითო, რომ მთელი კურსი გიმნაზიისა ჩვენს სასწავლებელში დაასრულონ ხოლმე და სხვა სასწავლებელში გადასვლა აღარ მოუნდეთო. რაც შეეხება მომავალს სამეურნეო სასწავლებელსაო, მასში სხვა სასწავლებლიდგან მივიღებთ მოწაფეებსო. ამ აზრს ბევრი თანაუგრძნობს. მაგრამ თუ საგანს კარგად დავუკვირდებით და ჩავუფიქრდებით, ამ გზასაც არამც თუ შეუსაბამოდ, მავნებლად ვცნობთ.

ჯერ ერთი, სადა გვაქვს იმოდენა სახსარი, რომ მთელი გიმნაზია შევინახოთ? ახლანდელს ჩვენს პატარა სასწავლებელსაც-კი არამც თუ თანხა არა აქვს, ვალით ინახება ყოველ წლივ. ადვილად შესაძლებელია, რომ გახსნას დაკეტა მალე მოჰყვეს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქართველობამ საქმე გაიჭირა, გახსნა და აწარმოვა მთელი გიმნაზია. რას მოგვცემს იგი ჩვენ? რომელ საქმისთვის მოამზადებს იგი ჩვენს შვილებსა? ჩინოვნიკობისათვის, მოხელეობისთვის, ბიუროკრატიის სამსახურისსათვის. სხვა რისამე გაკეთება გიმნზაიელს არ შეუძლიან. მაგრამ, სამწუხაროდ ჩინებისა და ორდენების მონატრულთა, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ძლიერ მცირე ნაწილი მოწაფეებისა ასრულებს გიმნაზიასა, უმრავლესობა კი სხვა-და-სხვა კლასებისგან გაირიყება ხოლმე.

მივმართოთ განათლების მინისტრის წლიურს ანგარიშებს და ვცნათ, რამდენი ასრულებს იმპერიაში კლასიკუსრ გიმნაზიასა? ეს ანგარიშები ჰმოწმობენ უტყუარს ფაქტსა, ძლიერ სამწუხაროსა და მეტად საგულისხმიეროსა. თურმე ნუ იტყვით-ასს გიმნაზიელში სრულს კურსს გიმნაზიისას ასრულებს შუაგულს რუსეთში მხოლოდ ხუთიდგან შვიდამდე და განაპირა ქვეყნებში ორიდგან ოთხამდე. ასე რომ, გიმნაზიები წარმოადგენენ მდინარეებსა, რომელთაც თავისი ვეებერთელა სათავიდან მხოლოდ რამდენიმე ცვარი შეაქვთ ზღვაში. ადვილად მისახდომია, რად ასრულებს შიდა-რუსეთში თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე განაპირა პროვინციებში. ეს განსხვავება იმაზედ არის დამოკიდებული, რომ რუსები უფრო ადვილად იტანენ ტვირთს ძველის ენების სწავლებისას, რადგანაც სკოლის ენა მათი დედა-ენაა, და სხვა ტომთა მოწაფენი კი იძულებულნი არიან უცხო ენაზედ ისმინოს სწავლა, რის გამოც საქმე მათთვის ერთი-ორად უფრო ძნელდება. სადამდინ დიდია ეს უკანასკნელი დაბრკოლება, გვიჩვენებს პოლონეთის მაგალითი. თუმცა პოლონელნი ძლიერ ნიჭიერნი არიან, ოჯახობა მოწყობილი აქვთ განათლებულად, კულტურულად, და თუმცა მათი ენა ღვიძლი ძმაა რუსულის ენისა, მაგრამ მაინც რუსულს ენაზედ სწავლება იმათთვისაც ისეთი ძნელია, რომ საცა ორი რუსი ასრულებს კურსსა, აქ მხოლოდ ერთი პოლონელი ეღირსება ამ ბედნიერებას...

რაც უნდა კარგად მოვაწყოთ ჩვენი გიმნაზია და რაც უნდა მარჯვედ ვაწარმოვოთ იგი, ასში ოთხის მეტს ვერ დავასრულებინებთ. უკეთესს ნაყოფს თითქმის შეუძლებლად ხდიან შემდეგი გარემოებები: ქართული ოჯახი დაბალს ხარისხზედ სდგას და სკოლაში შესვლამდინ ბავშვი ცუდ-უბრალოდ ატარებს მთელს შვიდ-რვა წელსა. ჩვენს ენას არავითარი მსგავსება და კავშირი

არა აქვს არც ბერძნულ-ლათინურთან, რომელთაც უმთავრესი ადგილი უჭირავთ გიმნაზიის კურსში, და არც რუსულს ენასთან, რომელზედაც მომართულია მთელი სწავლა. ამ სახით, გიმნაზიის დასაწყისში რომ ასი მოწაფე გვყავდეს, ბოლოში უწევს მხოლოდ ოთხი, ესეც საუკეთესო შემთხვევაში, უწევს დაქანცულ-დაღალული. ოთხმოც-და-თექვსმეტს კი დაიშრობს სახარა კლასიციზმისა, ესე იგი ზოგი პირველი კლასებიდგანვე გაექცევა ძველს ენებსა, ზოგი შუა კლასებიდგან და ზოგიც უფროს კლასებიდგან. ეს ამოდენა გაქცეული ჯარი რა ავლა-დიდებას წაიღებს თანა? მთავარი მისი გონებრივი ქონება იქმნება ნაფლეთები ძველი ენების გრამატიკებისა. რისთვის იქმნება გამზადებული? მხოლოდ იმისთვის, რასაც ყაჩაღები, ფირალები ემსახურებიან.

მაშ რა ვაქნათ, რა გზას დავადგეთ?..

ზურგი უნდა შევაქციოთ ყალბს ცოდნას, ფორმულების ზეპირობას და შევუდგეთ შეძენის ნამდვილის, ჭეშმარიტის ცოდნასა. ხოლო ამ გვარს ცოდნას იძლევა ესრედ წოდებული რეალური სისტემა განათლებისა. ამ სისტემას ყველა უპირატესობა აქვს კლასიკურ სისტემის წინაშე. პირველად, რეალური სისტემა იმ ფორმალურს განვითარებასაც ანიჭებს მოწაფეს, რომელიც შეადგენს ერთად-ერთს ღირსებას კლასიკურის სისტემისას, და, ამას გარდა, ნამდვილ ცოდნითაც ამდიდრებს. ამას აღიარაებენ ახლა საუკეთესო პედაგოგები, მათ შორის დიდი პედაგოგი რუსეთისა უშინსკი, და დაწინაურებული ექიმები. მეორედ, თუმცა რეალური სისტემა ათვალწუნებული იყო აქამდე და მას იმდენად აქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც დედინაცვალი მოძულებულს გერსა, - მაგრამ მაინც ას რეალისტში ცამეტი მაინც და მაინც ასრულებდა კურსსა, და არა ოთხი, როგორც კლასიკურსს გიმნაზიაში. ამას გარდა ისინიც, ვინც კურსდაუსრულებელნი თავს ანებებდნენ ამ გვარს სასწავლებლებს, ბევრით უკეთესს მდგომარეობაში იყვენენ, ვიდრე დათხოვნილი კლასიკები; ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდნენ, რადგანაც ენის ცოდნა, თუ დამთავრებული არ არის, ცოდნას არ შედგენს, მაშინ როდესაც ბუნებითი საგნების მცირეოდენის ნაწილის შეთვისებაც ცოდნაა თავისთავად. მესამედ, რეალურის სასწავლებლის კურსის დასრულებას უნდება ხუთიდან შვიდ წლამდე, მაშინ როდესაც კლასიკური გიმნაზია ითხოვს მთელს რვა წელიწადს. მეოთხედ, მხოლოდ რეალური სასწავლებელი აძლევს მოწაფეთა შესაბამ საზოგადო განათლებას სპეციალურ სამეურნეო სწავლისათვის. ხოლო სამეურნეო სწავლის მიუცილებელს საჭიროებას ჩვენთვის აღიარებენ ყველანი, სააზნაურო სკოლის კომიტეტიდგან დაწყებული უკანსაკნელ ინტელიგენტამდე. მართლაც, თუ საგანს ჩავუკვირდებით ცოტაოდნად მაინც, ცხადი შეიქმნება ჩვენთვის, რომ სამეურნეო ცოდნა-უპირველესი და უსაჭიროესი ცოდნაა ჩვენს მდგომარეობაში. ჩვენის ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ჩვენ კი ძლიერ ღარიბნი ვართ. რადა? იმიტომ, რომ მოვლა არ ვიცით ამ ბუნებისა. სხვებმა იციან ეს მოვლა, ერთი ათად მეტის გამორჩენის იმედი აქვთ, ფულს გვახარბებენ და ხელიდგან გვაცლიან მიწა-წყალსა. ამ მოვლენას თუ ბოლო არ მოვუღეთ, იგი ჩვენ თვითონ აგვიგებს ანდერძსა. წარმოვიდგინოთ, ბატონებო, რომ ჩვენმა ერმა დაჰკარგა ყველა საჩინოვნიკო, სამოხელო ადგილები, ერთი ქართველი აღარ ურევია ქვეყნის მართვაში; მაგრამ მას ამავე დროს მტკიცედ უჭირავს ხელში თავისი მიწა-წყალი და მარჯვედ სარგებლობს. საშიში აქ არაფერია, დღეს დაკარგული სამოხელო ადგილები ხვალ ადვილად შეიძლება ისევ დავიბრუნოთ. მაგრამ თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მის გაქრობა დედამიწის

ზურგიდან აუცილებელი გახდება, თუნდაც პირველს ხანებში მრავალი სამოხელო ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და ჯარში. მიწა-წყალი სამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია.

საუკეთესო სწავლა მიწა-წყლის მარჯვედ მოხმარებისთვის, მისი მოვლისა და გამოყენებისთვის, მოვლის გადიდებისათვის, გახლავთ, როგორც უკვე მოგახსენეთ, რეალური სწავლა, დამთავრებული სამეურნეო სწავლითა. მხოლოდ საქმე ისაა, სად უნდა მოვსძებნოთ მისაბაძი მაგალითის, ვისი გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ? ზოგნი ევროპისკენ იშვერენ ხელსა და გვირჩევენ, იქ ვძებნოთ ნიმუში საუკეთესო სასწავლებლისა. მაგრამ აქ ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: ევროპა პროგრესის გზაზედ ძლიერ ჩქარა მიდის, მეტად დაწინაურებულია, მას შორიახლოს მისდევს რუსეთი და რუსეთის უკან კიდევ კუს ტაატით მიჩანჩალებს ჩვენი პატარა ქვეყანა. როგორ გადავახტეთ თავს ამ უზარ-მაზარს იმპერიასა და ამოვყოთ თავის შორეულს ევროპაში? ისა არა სჯობიან, ჯერ უფრო მახლობლად ვეძებოთ, რის პოვნაც გვინდა, ჯერ რუსეთი გავჩხრიკოთ, იქნება აქ ამოჩნდეს სწორედ იმისთანა სასწავლებელი, რომელსაც ჩვენ ვნატრობთ და რომელიც უფრო ხელმისაწვდომია.

დიაღ, სწორედ რუსეთში არსებობს კარგა ხანია სასწავლებელი, რომელიც სწორედ შეეფერება ჩვენს მდგომარეობასა, რასაკვირველია, საჭირო და შესაბამისი ცვლილებითა. ეს სასწავლებელი გახლავთ პერმის გუბერნიაში კრასნოუფიმსკის რეალური სასწავლებელი სამეურნეო კლასებითა. ამ სასწავლებელს წინად ჰქონდა ცხრა წლის კურსი, შვიდი წელი უნდებოდა საზოგადო კურსსა და ორი წელი სპეციალურსა. ჯდებოდა მთლად წელიწადში 30.000 მანეთი. ამ უკანასკნელს წლებში საზოგადო კურსი შემოაკლეს ერთი წლით და ორის წლით გაადიდეს სპეციალური კურსი. ამ ჟამად კროსნიუფიმსკში არსებობს რეალური სასწავლებელი ექვსის წლის კურსით და სამეურნეო სასწავლებელი ოთხი წლის კურსით. ეს სამეურნეო სასწავლებელი განცალკევებულია და აქვს ვრცელი ფერმა ყოველგვარი მოწყობილობითა. მასში შესასვლელად საჭირო არ არის მთელი რეალური სასწავლებლის დასრულება; საქმე ისეა მოწყობილი, რომ ვისაც სამეურნეო გზის არჩევა სურს, ის მეხუთიდგანვე გადადის სპეციალურს სასწავლებელში, და ვისაც არა, ასრულებს რეალურს სასწავლებელსა და გამოდის ატესტატითა...

კარგად მოგეხსენებათ, რომ ხე ნაყოფით იცნობებაო. ჩვენც სწორედ ამ ნაყოფს უნდა მივმართოთ. რა სამსახური გაუწია კრასნოუფიმსკის რეალურ-სამეურნეო სასწავლებელმა პერმის გუბერნიის მცხოვრებთა, რა ეკონომიური ცვლილება, გაუკეთესობა მოახდინა იქაურს ყოფა-ცხოვრებაში? ისეთი ძირითადი და სანატრელი ცვლილება მოჰყვა ამ სასწავლებელსა, რომ ძნელად დაიჯერებს ის, ვინც დაახლოვებით არ გაინცობს საქმესა. წინათ პერმის გუბერნია ერთი უღარიბესი კუთხე იყო რუსეთის იმპერიაში, ეხლა კი შეძლებულს გუბერნიათა რიცხვს ეკუთვნის. წინად ამ გუბერნიის მიწამ იცოდა ძლიერ მცირედი მოსავალი, ახლა კი მოჰყავს ერთი ორად და სამად მეტი და ასეც უნდა მომხდარიყო. ხსენებული სასწავლებელი, თავისი ფართო და მშვენივრად მოწყობილი ფერმით, გარდაიქცა სამეურენო სწავლის დიდ კერად, სადაც, მოწაფეთა გარდა ხნიერი მცხოვრებნი გუბერნიისა პრაქტიკულად, თვალ-საჩინოდ სწავლობდნენ საუკეთესო მოვლას მიწისას და გაიცნობდნენ ახალ იარაღებს ხვნა-თესვისასა. ამ იარაღებს წინად ფერმა

იბარებდა ევროპიდგან; მაგრამ რადგან ძლიერ ძვირად ჯდებოდა, თვითონვე დაიწყო გაკეთება. მხვნელ-მთესველნი მოდიოდნენ, უცქეროდნენ ამ იარაღების მზადებასა, სწავლობდნენ, და შემდეგში თვითონ ადგილობრივ იწყეს მათი კეთება, რამაც ერთი სამად და მეტადაც გააიაფა ახალ სისტემის იარაღები. მეტადრე დიდი სამსახური გაუწია გუბერნიას ერთმა სრულიად ახალმა თანამდებობამ, რომელიც გუბერნიაში შემოღებულ იქმნა ამ სასწავლებლის თაოსნობით. დააწესეს თანამდებობანი საანგრონომიო ზედამხედველობისა, რომლებზედაც იწყეს გამწესება ამ სასწავლებლის კურს შესრულებულებისა. თითო მაზრას სათითაო ზედამხედველი გაუმწესეს. ეს ზედამხედველნი იყვენენ და არიან ნამდვილი სახალხო პროფესორები მეურნეობისა, დადიან სოფლითი სოფლად და ასწავლიან ხალხს, თუ როგორ უნდა ჰხნას მიწა, რომელს მიწაზედ რა მცენარე დასთესონ, როგორ მოუაროს, როგორ აკეთოს ახალი სამეურნეო იარაღები; თუ რაიმე მტერი გაუჩნდა მოსავალსა, ხელმძღვანელობას უწევენ, რა გზით და რა ღონისძიებით უნდა გაიჟლიტოს ეს მტერი, და სხვანი და სხვანი. ერთი სიტყვით ეს ზედამხედველები არიან სანიტარები და ექიმები მეურნეობისა. მათ ისეთი ცოდნა გამოიჩინეს, ისეთი დიდი სიკეთე დასთესეს, ისეთი სახელი გაითქვეს, რომ სხვა ქვეყნებშიაც იბარებენ კრასნოუფიმსკიდგან სააგრონომიო ზედამხედველებსა, მაგალითად, ბესარაბიაში.

აი სწორედ ამისთანა ზედამხედველები ეჭირვება ჩვენს ქვეყანას, ჩვენ მეურნეობას. იგინი ჯეროვანს სიმაღლემდე აიყვანენ მამულის მოვლის ხელობას, ასწავლიან ერს-მდიდარი ბუნებიდგან ყოველ წლივ მიიღოს არა ღატაკი მოსავალი, არამედ უხვი, და დოვლათს დაატრიალებენ ჩვენს ღარიბს ქვეყანაში. დიდი მამულის პატრონები ამ განვითარებულს ზედამხედველებში ჰპოვებენ მოურავებს, რომელნიც ერთი სამად და ოთხად აქცევენ წლიურს შემოსავალსა. მაშასადამე, ჩვენ უნდა დავაარსოთ სწორედ ისეთი სასწავლებელი, როგორიც არის კრანსნოუფიმსკში. თუ ამ გზას ვაღიარებთ საუკეთესო გზად და მტკიცედ დავადგებით, ახლანდელს მოსამზადებელს კლასებს უნდა ზედ მოვაბათ თბილისში არა კლასიკური პროგიმნაზია, არამედ ექვს-კლასიანი რეალური სასწავლებელი და ცალკე სოფლად, რომელსამე დიდს მამულში, გავხსნათ ოთხკლასიანი სამეურნეო მაღალი სასწავლებელი.

მაშ პროგიმნაზიული კლასები უნდა გაუქმდეს? არა. ბლომად არიან შემძლებელნი პირნი, რომელთაც შეუძლიათ დაა სურვილიცა აქვთ თავისი შვილები უთუოდ უნივერსიტეტში გამოზარდონ. ამ გვარ პირთაც უნდა გავუღოთ კარები ჩვენის სასწავლებლისა, რათა მათ შეეძლოთ თავისს შვილებში, ძველს ენებთან ერთად, აღზარდონ და განამტკიცონ ეროვნული მიმართულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგინი, ეს კლასიკური სისტემის მოტრფიალენი, მუდამ დრტვინვაში იქმნებიან, მუდამ ჩივილში, და ეცდებიან ძირი უთხარონ სააზნაურო სკოლასა. ხოლო ამ სკოლის აყვავებისთვის მიუცილებლად საჭიროა, რომ იგი იყოს საყოველთაო სიყვარულით და სიმპატიით მოცული და სამუდამოდ მოისპოს მის გარშემო ცილაობა და ჭიდილი რეალისტებისა და კლასიკებისა. ეს მით უფრო მოსახერხებელია, რომ საზოგადო საგნები პროგიმნაზიასა და რელურს სასწავლებელს ბევრი აქვთ, ეს საზოგადო საგნები ისწავლებიან ერთად და მხოლოდ განსაკუთრებითი საგნები მოითხოვენ წელიწადში ოთხას-ხუთასს თუმანსა. ამ გვარი ორკეცი სასწავლებელნი-რეალურ-კლასიკურნი-წინად ბლომად არსებობდნენ და ეხლაც არსებობენ, მაგალითად, სტავროპოლში. პროგიმნაზიულს კლასებს ექმნებათ დანიშნულებად-მოუმზადონ მართებლობის გიმნაზიის უფროს კლასებს ჩვენი

შვილები, ხოლო რეალური კლასები, როგორც მოგახსენოთ, მოუმზადებენ მოწაფეებს ჩვენს მაღალს სამეურნეო სასწავლებელსა და მართებლობის სპეციალურს უმაღლეს სასწავლებლებსა.

მოსამზადებელი კლასები და რეალური სასწავლებელი რამდენისამე პროგიმნაზიულის კლასით დარჩება, რასაკვირველია, თბილისში, ხოლო სამეურნეო სასწავლებელი უნდა დაფუძნდეს, როგორც მოგახსენეთ, რომელსამე დიდს მამულში სოფლად, სადაც შეიძლება ფართო ფერმის გამართვა, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო-რეალური ცოდნის შეძენისათვის. ამისთანა მამული უკვე მიანიჭა თავად-აზნაურობას თავისი უხვის შეწირულობით თავადმა ზაქარია გიორგის-ძემ ერისთავმა. მდებარეობა მამულისა შუა-გულს ქართლში, რკინის გზის სიახლოვესა, იქაური მიწა-წყლის სხვა-და-სხვაობა სწორედ მოხერხებულს ადგილად ჰხდიან თავადი ერისთავის მამულსა. აქ დაარსებული სასწავლებელი ადვილად გაუძღვება ორსავე საქართველოს მოთხოვნილებას-აღმოსავლეთისას და დასავლეთისას, თბილის და ქუთაისის გუბერნიებისას. მართალია, იგი ბლომად მოინდომებს ფულს ყოველ წლივ, მაგრამ შეერთებულს ძალასა ორისავე ბანკისას და ორთავე თავად-აზნაურობისას არ უნდა გაუჭირდეს მისი შენახვა. ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ამ გვარს სამეურნეო სასწავლებელს მთავრობა ადვილად უნიშნავს სუბსიდიას, მეტადრე თუ იგი გახსნილია თავად-აზნაურობისაგან...

ბოლოს, საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ საყოველთაო ინტერესი მოითხოვს, რათა იმ საზოგადოებას, რომელიც მართავს ამ სკოლასა, მიეცეთ უფრო ფართო ასპარეზი. მათ უნდა ექვემდებარებოდეს არა მარტო თბილისის სააზნაურო სკოლა, არამედ ყველა სასწავლებლები, რომელიც-კი ორსავე საქართველოში გაუხსნია და გახსნის თავად-აზნაურობა და რომელიც ინახება ბანკების სარგებლობითა; მაგალითად: წინამძღვარიანთ-კარის სკოლა, ქუთაისის სააზნაურო სკოლა, სენაკის სკოლა და მომავალი სამეურნეო სასწავლებელი. ამ გაფართოებას უფლებისას ითხოვს ის გარემოებაც, რომ დასავლეთის თავად-აზნაურობამ ვერ შეადგინა ცალკე საზოგადო და მისი სკოლები ექვემდებარებიან ,,წერა-კითხვის საზოგადოებას'', რაც მეტ-ნაკლებობით შეუსაბამოა. მართალია, ამ შემთხვევაში დაგვჭირდება წესდების შეცვლა, და იმერ თავად-აზნაურების წევრებას მიღება, მაგრამ აქ არავითარი სიძნელე არ დაგვხვდება წინ. თუ ეს აზრი განხორციელებულ იქმნა, შეერთებულს თავად-აზნაურობას საქართველოსას და შეერთებულსავე ძალას ბანკებისას ექმნებათ მთელი გუნდი სასწავლებლებისა: თბილისში მოსამზადებელი კლასები, რეალური სასწავლებელი პროგიმნაზიურ კლასებითურთ და დაბალი სამეურნეო სასწავლებელი წინამძღვრიანთ-კარში, სადაც შევლენ მოსამზადებელ კლასებიდგან ის მოწაფენი, რომელთაც სიღარიბე ან სხვა გარემოება ნებას არ მისცემს აირჩიონ უფრო გრძელი გზა განათლებისა; ქუთაისში იქმნება აგრეთვე მოსამზადებელი კლასები და რეალური სასწავლებელი პროგიმნაზიულ კლასებითა, სამეგრელოში მოსამზადებელი კლასები და დაბალი სამეურნეო სასწავლებელი, რომლის გახსნა გადაწყვეტილია სამეგრელოს თავად-აზნაურთაგან და რომელშიაც მიიღებენ ორივე მოსამზადებელი სასწავლებლიდგან ხსენებულს გარემოებაში მყოფნი მოწაფენი. ამავე დროს პროგიმნაზიური კლასები იქმნებიან აუზნი, საიდგანად ერთი ნაწილი ჩვენის მოზარდ თაობისა იდენს მართებლობას კლასიკურ გიმნაზიებში და შემდეგ უნივერსიტეტში. გვირგვინი ყველა ამ სასწავლებლებისა იქმნება სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც მიიღებს ყოველს წელს თავის წიაღში იმ იმერ და ამიერ ყმაწვილებსა, რომელნიც ხუთს კლასს რეალურ სასწავლებლებისას წარმატებით დაასრულებენ.-ამ მაღალს სასწავლებელში

კურს-დასრულებულები, აღჭურვილი თანამედროვე სამეურნეო ცოდნით, თეორეთიკულით და პრაქტიკულით, შეიქმნებიან ხელმძღვანელნი მიწის მფლობელთა და მიწის მომქმედთა, გამოიყვანენ ჩვენს მეურნეობას იმ უნუგეშო მდგომარეობიდგან, რომელშიაც იგი არის ახლა ჩაფლული, და ჩვენს სამშობლოს მისცემენ შეძლებას არამც თუ შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, არამედ დაიბრუნოს ხელიდგან წასული ტერიტორია და ყოველ წლის მოიმკონ იმისთანა უხვი მოსავალი, როგორიც შეეფერება ჩვენი ქვეყნის მდიდარს ბუნებასა.

მერმე, სადა აქვს თავად-აზნაურობას იმდენი შეძლება, რომ ყველაფერი ეგ სისრულეში მოიყვანოს, განახორციელოს? მკითხვენ. ჩემის მხრივ ვიკითხავ: როგორ იშოვნა სახსარი ღარიბმა და ღატაკმა საქართველოს სამღვდელოებამ, რომელიც ინახავს თითქმის მარტო თავის ხარჯით შვიდს კლასიანს ექვს სასულიერო სასწავლებელს ვაჟებისათვის და ორს ქალებისათვის, რაზედაც წელიწადში ათი-ათასს თუმანზედ მეტი იხარჯება? როგორ მოახერხა იმერეთის ნივთიერად უღონო სამღვდელოებამ შეეგროვებინა ოც-და-ათი-ათასი მანესი ქუთაისში სემინარიის დაარსებისათვის? ნუ თუ რაც უძლურმა სამღვდელოებამ მოახერხა, ის არ შეუძლიან ბევრად მასზედ შემძლებელს თავად-აზნაურობასა და ორს იმისთანა საკრედიტო დაწესებულებასა, როგორიც არიან თბილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკები? და თუ შეუძლიან, ნუ თუ თავად-აზნაურობა სულით და გულით არ მოინდომებს უკანასკნელი თავისი სახსარი მოანდომოს ნამდვლის განათლებას თავის შვილებისას, მეტადრე მაშინ, როდესაც ამ განათლებაზედ ბევრად დამოკიდებულია არა მარტო თავად-აზნაურობის, არამედ მთელის ჩვენის სამშობლოს ბედ-იღბალი, არსებობა და წარმატება?

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:</u>

სსიპ ქალაქ თელავის N5 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, **ეკატერინე მამნიაშვილმა**